- მეტალის აქტიური აირით (MAG) და მეტალის პასიური აირით (MIG) შედუღების ტექნიკების გამოყენება
- მეტალის აქტიური აირით (MAG) და მეტალის პასიური აირით (MIG) შედუღების ტექნიკებისთვის საჭირო მოწყობილობების გამოყენება
- შედუღების ადგილების შემოწმება და მათი შედარება მოთხოვნებთან
- ვოლფრამის ინერტული აირის (TIG) შედუღების ტექნიკების უსაფრთხოდ გამოყენება
- ვოლფრამის ინერტული აირის (TIG) შედუღების პროცედურების სპეციფიკაციების გამოყენება
- ვოლფრამის ინერტული აირის (TIG) შედუღების ტექნიკების გამოყენებით სტანდარტული პროცედურები
- შედუღების ადგილების შემოწმება და მათი შესაბამისობის დადგენა მოთხოვნებთან

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროგრამა შემუშავებულია: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის #656

ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 458 5.06.2018 წ.; 80/ი 31.01. 2019წ) „შემდუღება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 04 მაისი #09 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შემდუღება“

პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის პედაგოგებმა და მსაქმეებლებმა.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, რომელსაც აქვს სურვილი მიიღოს ცოდნა აღნიშნული მიმართულებით, გაიუმჯობესოს პრაქტიკული უნარები და გახდეს უფრო მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრი ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად.



პროგრამა ძირითადად განხორციელდება სასწავლებლებში, სადაც რეალურად არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ მიღწეული იქნეს სწავლის შედეგები. არსებობს სახელოსნო, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებით და ხელსაწყო--იარაღებით. სწავლა განხორციელდება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროგრამის ხანგრძლივობა 15 კვირა, 225 საკონტაქტო საათის მოცულობით და კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 15 სთ.

სწავლების მეთოდებია : ლექცია , პრაქტიკული საგარჯიშო

შეფასების მეთოდებია : გამოკითხვა/პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, პრაქტიკული /პროცესზე დაკვირვება

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

პროგრამები (Photoshop-ი, Autodesk 3ds Max, Autodesk-Autocad) მშენებლებისათვის

პროგრამის სახე: პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 3

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12


კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: საშუალოდ 10-11-12

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 139 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური -6 მაქსიმალური -12

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: პირი რომელმაც მიაღწია 18 წელს, აქვს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება არსებულ პროფესიაში და ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა-უნარები „პროგრამების (Photoshop-ი, Autodesk 3ds Max, Autodesk-Autocad) მშენებლებისათვის“ პროგრამაში და დასაქმდეს აღნიშნული სპეციალობით;



პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მსმენელმა გაიღრმავოს ცოდნა/უნარები და შეძლოს

1. Photoshop- ის სამუშაო სივრცის მომზადება, პალიტრების შერჩევა და ინტერფეისის გამოყენება.
2. შეძლოს გამოსახულების რედაქტირება და ეფექტების გამოყენება.
3. შეძლოს Photoshop-ში მხატვრული გამოსახულების შექმნა რასტრული და ვექტორული გრაფიკის ელემენტების გამოყენებით.
4. შეძლოს ფოტოსურათის დამუშავება და ბეჭდვა.
5. შეძლოს ანიმაციის შექმნა.
6. შეძლოს Autodesk 3ds Max პროგრამაში ობიექტის სივრცობრივი სამგანზომილებიანი გამოსახულების შექმნა.
7. შეძლოს Autodesk-Autocad-ში ობიექტის ნახაზის შექმნა.

აგრეთვე სპეციალობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები, შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

სწავლის შედეგები :

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. Photoshop- ის სამუშაო სივრცის მომზადება, პალიტრების შერჩევა და ინტერფეისის გამოყენება.
2. გამოსახულების რედაქტირება და ეფექტების გამოყენება.



3. Photoshop-ში მხატვრული გამოსახულების შექმნა რასტრული და ვექტორული გრაფიკის ელემენტების გამოყენებით.
4. ფოტოსურათის დამუშავება და ბეჭდვა.
5. ანიმაციის შექმნა.
6. Autodesk 3ds Max პროგრამაში ობიექტის სივრცობრივი სამგანზომილებიანი გამოსახულების შექმნა.
7. Autodesk-Autocad-ში ობიექტის ნახაზის შექმნა.

პროგრამის შემუშავების საფუძველი: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბერი #884 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: #18 05.01 2018; #459 05.06 2018; #85/ი31.012019) ხის ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 მაისის #41 ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს ამ სფეროში მუშაობის გარკვეული გამოცდილება და სურვილი აიმაღლოს ცოდნა მოკლე დროში.

პროგრამის ხანგრძლიობაა 12 კვირა, 139 საკონტაქტო საათის მოცულობით და კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვაა საშუალოდ 11-12 სთ. სწავლების მეთოდებია: ლექცია/პრაქტიკული სავარჯიშო, დემონსტრირება. ხოლო შეფასების მეთოდებია: პრაქტიკული დავალება/პროდუქტი. დაკვირვებით; გამოკითხვა.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია Photoshop-ის სამუშაო სივრცის მომზადება, გამოსახულების რედაქტირება, Photoshop-ში მხატვრული გამოსახულების შექმნა, ფოტოსურათის დამუშავება და ანიმაციის შექმნა, აგრეთვე Autodesk 3ds Max პროგრამაში ობიექტის სივრცობრივი სამგანზომილებიანი გამოსახულების შექმნა, Autodesk-Autocad-ში ობიექტის ნახაზის შექმნა.

პროფესიული მომზადების ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს.

სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულება

პროგრამის სახე: პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 4

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 21

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 8-13

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 223 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური -10 მაქსიმალური 15

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: პირი რომელმაც მიაღწია 18 წელს და ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება „სატყეო საქმეში“ და სურვილი აქვს მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა-უნარები „სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულება“ პროგრამაში.

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია გაიღრმავონ ცოდნა/უნარები სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში

- ხის ჭრის პროცესის მომზადება
- ხის მოჭრა
- მოჭრილი ხის განშენდა
- დამზადებული ხე-ტყის დახარისხება
- ჭრის ნარჩენების განთავსება
- დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა
- სატრანსპორტო საშუალებებზე ხე-ტყის დატვირთვა
- ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების აღწერა
- სამუშაოს ორგანიზება
- ფართობის მომზადება თესვისა და დარგვისათვის
- სარგავი მასალის მომზადება
- ნერგის/თესლნერგის დარგვა
- სამოქმედო ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება





აგრეთვე სპეციალობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები, შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ხის ჭრის პროცესის მომზადება
- ხის მოჭრა
- მოჭრილი ხის გაწმენდა
- დამზადებული ხე-ტყის დახარისხება
- ჭრის ნარჩენების განთავსება
- დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა
- სატრანსპორტო საშუალებებზე ხე-ტყის დატვირთვა
- ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების აღწერა
- სამუშაოს ორგანიზება
- ფართობის მომზადება თესვისა და დარგვისათვის
- სარგავი მასალის მომზადება
- ნერგის/თესლნერგის დარგვა
- სამოქმედო ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროგრამა შემუშავებულია: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის #656 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 80/ი 31.01.2019 წ.; 179/ი 07.03. 2019წ) „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 მაისის #41 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“

პროგრამას საფუძვლად უდევს საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წელს დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია“, საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020 (საქართველოს მთავრობის დადგენილება N343, 08.05.2014წ)

პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო დამსაქმებელმა: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტომ.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული გადამზადების პროგრამაზე-“სატყეო სამეურნეო საშუალებების შესრულება“ სწავლა შეუძლია პირს , რომელიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, რომელსაც აქვს სურვილი მიიღოს ცოდნა აღნიშნული მიმართულებით, გაიუმჯობესოს პრაქტიკული უნარები და გახდეს უფრო მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრი ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად.



პროგრამის ხანგრძლივობა 21 კვირა, 223 საკონტაქტო საათის მოცულობით და კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა საშუალოდ 8-13 სთ. სწავლების მეთოდებია : ინტერაქციული ლექცია /პრაქტიკული მეცადინეობა, ხოლო შეფასების მეთოდებია : პრაქტიკული დავალება/დაკვირვებით პროფესიული გადამზადების პროგრამაზე-„სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულება“ სწავლა განხორციელდება მოდულური სწავლების მეთოდოლოგიით, სწავლება უზრუნველყოფილია დარგის პროფესიული მასწავლებლის მიერ.

სსიპ კოლექტი „ოპიზარი“ შესაბამისად აღჭურვილია კლას -კაბინეტებით; სასწავლო ლაბორატორიებით და საცდელი მიწის ნაკვეთით;

სატყეო სააგენტოს ტყის ტრისათვის გამოყოფილი ფართობები;

სწავლა განხორციელდება მაღალკვალიფიკაციური სპეციალისტების მიერ შრომის უსაფრთხოებისა და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით;

პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერთიფიკატს

ფინანსური ანგარიშგება -დეკლარირება

პროგრამის სახე: პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 4

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12.

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: საშუალოდ 11—12-სთ.

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 137 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური -5 მაქსიმალური --10



პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: პირი, რომელმაც მიაღწია 18 წელს, აქვს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება ბუღალტრულ აღრიცხვაში და სურვილი აქვს მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა და უნარები „ ფინანსური ანგარიშგება -დეკლარირება“ და დასაქმდეს აღნიშნული სპეციალობით;

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია გაიღრმავდეს ცოდნა/უნარები „ფინანსური ანგარიშგება -დეკლარირება“:

- სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკა;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება;
- სამეურნეო სუბიექტის ბუღალტრული აღრიცხვა- ანგარიშგების კონტროლი
- სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის სტატუსის მქონე საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება
- კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო დეკლარაციების შევსება
- ეკონომიკური ანალიზის პრინციპები და სახეების კლასიფიკაცია;

აგრეთვე სპეციალობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, შრომის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა გაუწიოს მის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა თანამშრომელს. გამოიყენოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები, შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში

სწავლის შედეგები (აღინიშნება ცოდნით და უნარით)

- სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენა
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება;

- სამეურნეო სუბიექტის ბუღალტრული აღრიცხვა- ანგარიშგების კონტროლი
- სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის სტატუსის მქონე საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება
- კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო დეკლარაციების შევსება
- ეკონომიკური ანალიზის პრინციპები და სახეების კლასიფიკაცია

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროგრამა შემუშავებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბერი №656 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: #842 2017 წლის 29 დეკემბერი ; #80/ი 31 01.19) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ბუღალტრული აღრიცხვის“ საფუძველზე შემუშავებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 4 მარტის №09 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს ბუღალტრული გამოცდილება და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა/უნარები „ფინანსური ანგარიშგება -დეკლარირება“ სპეციალობის სფეროში და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

- პროგრამის ხანგრძლიობაა 12 კვირა, 137 საკონტაქტო საათის მოცულობით და კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვაა საშუალოდ 11-12 სთ.
- სწავლების მეთოდებია: ლექცია/პრაქტიკული სავარჯიშო, დემონსტრირება. ხოლო შეფასების მეთოდებია: პრაქტიკული დავალება/პრობლემა. დაკვირვებით; გამოკითხვა.
- პროფესიული მომზადების ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარი.

სამკურნალო მცენარეების დამზადება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 3

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 21 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 310 სთ

20 კვირის განმავლობაში კვირაში 15 საათი, ჯამში 300 საათი

2 კვირის განმავლობაში კვირაში 5 საათი, ჯამში 10 საათი

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 6 მაქსიმალური - 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები:

მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრი, რომელიც შეძლებს სამკურნალო მცენარეების იდენტიფიცირებას, სამკურნალო მცენარეების კულტივირებას, შეგროვებას, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამუშავებას, შეფუთვას და მარკირებას, ასევე მცენარეული ნედლეულის მავნებლებისაგან დაცვას, მცენარეთა ჰერბარიუმის გამზადებას

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. სამკურნალო მცენარის იდენტიფიცირების, კულტივირების, შეგროვების, დამუშავება-შრობის, შეფუთვა-მარკირებისა და შენახვის თავისებურებათა დახასიათება;
2. სხვადასხვა სახის სამკურნალო სამკურნალო მცენარის ამოცნობა;
3. სამკურნალო მცენარეების კულტივირება (მიწის დამუშავება, თესვა, მოვლა, მოსავლის აღება უსაფრთხოების წესების დაცვით);
4. სხვადასხვა სახის სამკურნალო მცენარეული ნედლეულის შეგროვება, დამუშავება-შრობა უსაფრთხოების წესების დაცვით;
5. სამკურნალო მცენარეული ნედლეულის შეფუთვა-მარკირება, შენახვა უსაფრთხოების წესების დაცვით;
6. მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება;
7. მცენარეული ნედლეულის მავნებლებისაგან დაცვა;
8. მცენარეთა ჰერბარიუმის გამზადება.



პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის სოფლის მეურნეობა/Agriculture (09114-პ)
მოდულები:

- მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობა 0911428;
- მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება 0911432;
- ნიადაგის დამუშავების საფუძვლები 0911424;
- სამკურნალო მცენარეების იდენტიფიცირება 0911475;
- სამკურნალო მცენარეული ნედლეულის შეგროვება 0911476;
- სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამუშავება-შრობა 0911477;
- სამკურნალო მცენარეული ნედლეულის შეფუთვა-მარკირება 0911478;
- სამკურნალო მცენარეული ნედლეულის შენახვა 0911479;
- სამკურნალო მცენარეების კულტივირება 0911480.

პროგრამის მოკლე აღწერა:

„სამკურნალო მცენარეების დამზადების“ პროფესიული მომზადების პროგრამა საშუალებას აძლევს პირებს, რომლებიც აღნიშნულ პროგრამაზე ისწავლიან, გაეცნონ სხვადასხვა სახის სამკურნალო მცენარეთა თავისებურებებს, მათ თავისებებს, შეძლონ მათი ამოცნობა, კულტივირება (მიწის დამუშავება, თესვა, მოვლა, მოსავლის აღება); განახორციელონ სამკურნალო მცენარეული ნედლეულის შეგროვება, პირველადი დამუშავება, ბუნებრივი და ხელოვნური შრობა; მცენარეული ნედლეულის შეფუთვა-მარკირება და უსაფრთხო შენახვა.

პროგრამის ხანგრძლიობა შეადგენს 22 კვირას, 20 კვირის განმავლობაში კვირაში 15 საათი, 2 კვირის განმავლობაში კვირაში 5 საათი, პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასე პრაქტიკული უნარების განვითარება. თეორიული სწავლება განხორციელდება კოლექტის კეთილმოწყობილ სასწავლო აუდიტორიებში, ლექციები ინტერაქტიულ ფორმაში ჩატარდება; ფართოდ იქნება გამოყენებული პრეზენტაციები, ვიდეო ჩვენება, სასწავლო მასალების დემონსტრირება. მსმენელები განახორციელებენ

კოლექტის სასწავლო ნაკვეთში და სამკურნალო მცენარეების გაგვრცელების არეალში მსმენელები მსმენელებს ასწავლიან სამკურნალო სამკურნალო მცენარეების ამოცნობას, მცენარეული ნედლეულის შეგროვებას, დამუშავებას. სწავლის პერიოდში მსმენელები ასევე შეისწავლიან სხვადასხვა სახის სამკურნალო მცენარეთა კულტივირებას, ხოლო შერჩეული სახის მცენარეთა კულტივირებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს ისინი კოლექტის სასწავლო ნაკვეთში განახორციელებენ. სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამუშავება-შრობას და შეფუთვა-მარკირებას მსმენელები პრაქტიკის ობიექტზე შეისწავლიან. აღსანიშნავია, რომ სეზონურობის და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, შესაძლოა პროგრამაში წარმოდგენილი თემების სწავლების თანმიმდევრობა შეიცვალოს.

მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება, ტესტები, ზეპირი გაამოკითხვა, პრაქტიკული დავალებები, მსმენელების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვება. მსმენელების განმავითარებელი შეფასება მოხდება ყოველ კვირას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება ორჯერ - მე-15 და 22-ე კვირას.

პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს მსმენელების დასაქმებას ფერმერულ მეურნეობაში, სხვადასხვა სახის აგროფირმაში, ფიტოაფთიაქების ქსელში, ასევე თვითდასაქმდნენ და ააწყონ საკუთარი ბიზნესი.

ავტომობილის ამძრავი სისტემების და დაკიდების მექანიზმის შეკეთება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 3

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 15 კვირა (248 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 9 – 16 - 18 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლების მქონე სრულწლოვანი პირი

პროგრამის მიზნები: პროფესიული მომზადების პროგრამა „ავტომობილის ამძრავი სისტემების და დაკიდების მექანიზმის შეკეთება“- მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც პროგრამის გავლის პერიოდში შეისწავლიან: ავტომობილზე საჭირო საზეინკლო ოპერაციების ჩატარებას, ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციას და მათი შესაბამისი დაკიდების სისტემის, წამყვანი ხიდებისა და ამძრავების შეკეთების სერვისის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებების გათვალისწინებით. მსმენელები პროგრამის დასრულების შემდეგ შეძლებენ დასაქმდნენ ავტომობილის სერვისის სფეროში, სხვადასხვა ავტოსახელოსნოებსა და პროფილაქტიკებში.



სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. ავტომობილზე საჭირო საზეინკლო ოპერაციების ჩატარება
2. ავტომობილების კლასიფიკაცია, სხვადასხვა ავტომწარმოებლების გათვალისწინებით
3. ავტომობილის დაკიდების სისტემის სერვისი
4. ავტომობილის წამყვანი ხიდებისა და ამძრავების სერვისი



პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს ცოდნა /უნარები ავტომობილის ამძრავი სისტემების და დაკიდების მექანიზმის შეკეთების საქმეში და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამა განხორციელდება სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიასა (A გარემო) და სასწავლო სახელოსნოში (C გარემო), მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროგრამის ხანგრძლიობაა 15 კვირა, 248 საკონტაქტო საათი, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 9 – 16 -18 სთ.

სწავლების მეთოდებია: ინტერაქტიული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა.

ხოლო შეფასების მეთოდებია: პრაქტიკული დავალების შესრულების დროს ზეპირი გამოკითხვა და სამუშაოს შესრულებაზე დაკვირვება; ყოველ კვირაში მოხდება განმავითარებელი შეფასება , ხოლო ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს - ჩატარდება განმსაზღვრებელი შეფასება - **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.**

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

პროფესიული პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

მეფილე მომპირკეთებელი

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 3

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 15 კვირა (246 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 16-18 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 6 მაქსიმალური 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრულწლოვანი პირი, რომელსაც აქვს საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები: პროფესიული მომზადების პროგრამის „მეფილე - მომპირკეთებელი“ მიზანია მოამზადოს პირი პროფესიის საჭირო ცოდნა/უნარებით, კერძოდ მსმენელს შეასწავლოს შემდეგი საკითხები:

არქიტექტურული და სამშენებლო ნახაზების კითხვა, სხვადასხვა ზედაპირების ფართობების და მოცულობების განსაზღვრა, შენობებისა და ნაგებობების ესკიზების შექმნა, ყველა ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვით, ელექტრო და მექანიკური სამარჯვებისა და ინსტრუმენტების უსაფრთხოდ გამოყენებას, კედლისა და იატაკის მომზადებისა და მოპირკეთებისათვის საჭირო მასალების შერჩევა-გამოყენებას, დაზიანების აღმოფხვრას, ნაზავების მომზადებას, ნიშნულებისა და შუქურების მოწყობა-მოხატვა-შეღებას, დუღაბის მოსაჭიში იატაკის მოწყობას, კედლის და იატაკის დაკვალვით სამუშაოების შესრულებას, ფილების გაკვრას კედელზე და დაგებას იატაკზე, ნაკერების შევსებას.

მსმენელმა გამოიმუშაოს სპეციალობის შესაბამისი უნარები და კომპეტენციები, შეძლოს მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენება და გახდეს კონკურენტუნარიანი კადრი შრომის ბაზარზე, ან შეძლოს თვითდასაქმება.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. არქიტექტურული და სამშენებლო ნახაზების კითხვა, ფართობების და მოცულობების განსაზღვრა
2. შენობებისა და ნაგებობების ესკიზების შექმნა
3. კედლის და იატაკის ხარისხობრივი მაჩვენებლის დახასიათება, ლოკალური დაზიანებების აღმოფხვრა
4. ნიშნულებისა და შუქურების მოწყობა-მოხატვა-შეღება და დუღაბის მოსაჭიში იატაკის მოწყობა
5. ფილის სწორხაზოვნად მრუდწირულად და წრიულად გაჭრა ამოჭრა
6. კედლის და იატაკის დაკვალვით სამუშაოების წარმოება
7. ფილების გაკვრა იატაკზე და კედელზე
8. ნაკერების შევსება სხვადასხვა შემავსებლით





პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა /უნარები კედლისა და იატაკის ფილებით მოპირკეთების საქმეში და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამა განხორციელდება სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ ბაზაზე, თეორიული მეცადინეობა ჩატარდება სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A გარემო) , ხოლო პრაქტიკული მეცადინეობა - სასწავლო სახელოსნოში (C გარემო).

სწავლა განხორციელდება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტების მიერ, პრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროგრამის ხანგრძლიობაა 15 კვირა, 246 საკონტაქტო საათის მოცულობით და კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვაა საშუალოდ 16-18 სთ.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება შემდეგი სწავლის მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, პრაქტიკული სავარჯიშო, ხოლო შეფასებისათვის - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, კერძოდ, მსმენელების განმავითარებელი შეფასება მოხდება ყოველ კვირას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება მე-2, მე-5 და მე-15 კვირას, სხვადასხვა შეფასების მეთოდების გამოყენებით: გამოკითხვა, პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება,

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

პროფესიული პროგრამის მიზანია პრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 3

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 16 კვირა (240 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 8 მაქსიმალური 12

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრულწლოვანი პირი, რომელსაც აქვს საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელსაც აქვს შემდეგი ცოდნა და უნარები:

პერსონალური კომპიუტერული ტექნიკის შემადგენელი ნაწილების იდენტიფიცირება; პერსონალური კომპიუტერის აწყობა/განახლება; ხელსაწყოების გამოყენება უსაფრთხო ლაბორატორიული პროცედურების ჩასატარებლად; პერიფერიული მოწყობილობების მონტაჟი. ოპერაციული სისტემის ინსტალაცია; ოპერაციული სისტემის გამართვა; გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია; ოპერაციული სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ქსელების ფუნდამენტური პრინციპების და ტიპების გარჩევა; ქსელური ტექნოლოგიებისა და ქსელის ორგანიზების ძირითადი პრინციპების გარჩევა; კომპიუტერის ქსელში ჩართვა; მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელის გამართვა.

აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

სწავლის შედეგი 1: პერსონალური კომპიუტერის შემადგენელი ნაწილები, აწყობა/განახლება

სწავლის შედეგი 2: პერიფერიული მოწყობილობების მონტაჟი

სწავლის შედეგი 3: ოპერაციული სისტემის ინსტალაცია/გამართვა

სწავლის შედეგი 4: გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია





სწავლის შედეგი 5: ოპერაციული სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა
სწავლის შედეგი 6: ქსელების ფუნდამენტური პრინციპების და ტიპების გარჩევა
სწავლის შედეგი 7: კომპიუტერის ქსელში ჩართვა
სწავლის შედეგი 8: ინტერნეტ ტექნოლოგიების აღწერა
სწავლის შედეგი 9: მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელის გამართვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე „კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ სწავლა შეუძლია საბაზო განთლების მქონე სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს და განიმტკიცოს კონკრეტული ცოდნა /უნარები პროგრამიდან გამომდინარე და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამა განხორციელდება სსიპ კოლექტ „ოპიზარში“, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ B კარემაში, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, პროგრამის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროგრამის ხანგრძლიობაა 16 კვირა, 240 საკონტაქტო საათის მოცულობით და კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვაა 15 სთ. სწავლების მეთოდებია: ინტერაქციული ლექცია; პრეზენტაცია; პრაქტიკული სავარჯიშო, კეთება ინსტრუქტაჟით; დემონსტრირება სწავლის შედეგები შეფასება მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება ჩატარდება - ყოველ კვირას, განმსაზღვრელი შეფასება კი-მე-11 და მე-16 კვირის ბოლოს, შეფასების მეთოდით - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით და ზეპირი ან/და წერილობითი გამოკითხვა

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

პროფესიული პროგრამის მიზანია პროგრამის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

რეგიონული ტურისტული მეგზური(მომზადება)

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 3

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10 კვირა (90 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 9 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 15

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- სრული ზოგადი განათლება
- სულ მცირე ერთი უცხო ენის ცოდნა - სასაუბრო დონეზე



პროგრამის მიზნები: პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია მსმენელმა შეისწავლონ სფეროსთან დაკავშირებული განმარტებები, ტურისტული მეგზურის სამუშაო ფუნქციები, ქცევის წესები და ეთიკის ნორმები, საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტები. დაეუფლონ ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით ტურისტული ინდუსტრიისთვის საინტერესო პროდუქტის/შემეცნებითი ექსკურსიის შექმნის სპეციფიკას, საამბობი ტექსტის შემუშავების წესებს. შეიძინონ ტურისტული დანიშნულების ადგილის დემონსტრაციის და ჯგუფის გაძღოლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევებით გახდნენ კონკურენტუნარიანი კადრები პრომის ბაზარზე და დასაქმდნენ ტურისტული მეგზურის სპეციალობით, საოჯახო სასტუმროებში.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. ტურიზმის/მოგზაურობის ინდუსტრიისა და ტურისტული მეგზურის სამუშაოს აღწერა
2. საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტების, ეთიკის ნორმებისა და ტურისტული პროდუქტის კონცეფციის აღწერა
3. ექსკურსიის შექმნა
4. საამბობი ტექსტის შემუშავება
5. ობიექტის დემონსტრაცია
6. ჯგუფის გაძღოლა
7. უსაფრთხოების ნორმების დაცვა
ობიექტების შესახებ პრეზენტაციის მომზადება



პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული მომზადების პროგრამაზე „რეგიონული ტურისტული მეგზური“ სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები აღნიშნული მიმართულებით. სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით.

პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა, კვირეული დატვირთვა 9 საათი, სულ 90 სთ. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. სწავლება განხორციელდება მაღალი კვალიფიციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მიერ. თეორიული სწავლება ჩატარდება კოლეჯის თანამედროვე მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის შესწავლა მოხდება რეგიონის ტურისტული ობიექტების ბაზაზე. სწავლებისა და შეფასებისათვის გამოყენებული იქნება პროგრამის თემატიკის შესაბამისი მეთოდები.

პროგრამის გავლის შემდეგ, კურსდამთავრებულები შეძლებენ თავად შექმნან და მართონ ახალი, რეგიონალურ სპეციფიკაზე მორგებული ტურისტული პროდუქტები და დასაქმდნენ ტურისტული მეგზურის პოზიციაზე, ასევე, ჩაერთონ საოჯახო სასტუმროების მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

რეგიონული ტურისტული მეგზური(გადამზადება)

პროგრამის სახე: პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 7 კვირა **სულ 45 საათი**

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 15

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- ბაკალავრის კვალიფიკაცია;
- ტურისტულ ინდუსტრიაში საქმიანობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება;
- სულ მცირე ერთი უცხო ენის ცოდნა

პროგრამის მიზნები:

პროფესიული გადამზადების პროგრამის მიზანია ინოვაციაზე ორიენტირებული ადგილობრივი ტურისტული მეგზურების გადამზადება და ამ გზით რეგიონის ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა; ადგილობრივი მოსახლეობის ტურისტულ ინდუსტრიაში მიზნობრივი და კვალიფიციური ჩართულობის შესაძლებლობის ამაღლება.

პროგრამის ფარგლებში მსმენელები გაცნობიან ტურისტული გიდის სამუშაოს და ფუნქციებს, საერთაშორისო დარგობრივ სტანდარტებს, ქცევის წესებსა და ეთიკის ნორმებს; უსაფრთხოების ნორმებს. დაეფუძნებიან ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით ტურისტული ინდუსტრიისთვის ახალი, საინტერესო პროდუქტის/მემკვიდრეობითი ექსკურსიის შექმნის სპეციფიკას; გაიუმჯობესებენ ტურისტული დანიშნულების ადგილის დემონსტრირების/პრეზენტაციის და ჯგუფის გაძღოლის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენებენ ისეთ უნარებს, როგორიცაა: ტექსტურ წყაროებთან მუშაობის უნარი; ინფორმაციის მოძიება/დახარისხება/დამუშავების უნარი; კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების უნარი; ინფრასტრუქტურის ანალიზის უნარი; კომუნიკაციის უნარი.

პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულები შეძლებენ თავად შექმნან ახალი, ინოვაციური, აუთვისებელი მარშრუტები, მართონ რეგიონალურ სპეციფიკაზე მორგებული ტურისტული პროდუქტები და დასაქმდნენ ტურის მეგზურის პოზიციაზე, როგორც კერძო ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. ტურიზმის/მოგზაურობის ინდუსტრიის გლობალური და ეროვნული მნიშვნელობის განხილვა; გიდის პროფესიის, გიდის სამუშაო ფორმების აღწერა, საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტების და ეთიკის ნორმების გაცნობიერება;





2. ტურისტული რესურსების მახასიათებლების იდენტიფიცირება; ტურისტული პროდუქტის, როგორც ტურისტული პაკეტის ელემენტების ჯგუფის განსაზღვრა, მიზნობრივი განვითარებისათვის პროდუქტის გამოყენება, მომხმარებელთა საჭიროებების გაანალიზება;
3. ახალი ექსკურსიის შექმნისთვის მეთოდების, ხერხების, სხვადასხვა სახის ინფორმაციის შეგროვება და გამოყენება, ექსკურსიის კომპოზიციის შემუშავება და ექსკურსიის ტექნოლოგიური რუკის შექმნა;
4. ობიექტთა ნაკრების განსაზღვრა და მათზე საინფორმაციო ბარათების მომზადება, ობიექტის დემონსტრაციისა და გადაადგილების დროის განსაზღვრა; მარშრუტის აწყობის ხერხები, ტურების კატეგორიებად დაყოფა;
5. ტურების წარდგენა, ობიექტის დემონსტრაცია, კომუნიკაციისას როგორც ვერბალური ისე არავერბალური ე.წ. უესტური მხარეს გამოყენება; კომუნიკაციისას 5C-სა და KISS პრინციპების გამოყენება;
6. ჯგუფის გაძღოლა/ორგანიზაცია, თვითორგანიზება, პრობლემების გადაჭრისა და საჩივრების მართვის ტექნიკის გამოყენება; ტურისტების უსაფრთხოებაზე ზრუნვა, გიდის ვალდებულებების დაცვა;
7. რეგიონის სპეციფიკაზე მორგებული ახალი ექსკურსიის შექმნა და პრეზენტაცია;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - „რეგიონული ტურის მეგზური“, სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი, შეიძინოს ახალი ცოდნა და უნარები, აიმაღლოს კვალიფიკაცია და/ან დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამის ხანგრძლივობა: 7 კვირა, 6 კვირა-კვირეული დატვირთვა 6 სთ, მე-7 კვირა შეფასება 9 სთ. სულ 45 საათი.
პროგრამის ფარგლებში მსმენელები შეისწავლიან შემდეგ საკითხებს: გიდის სამუშაოს აღწერა და აღიარებული დარგობრივი სტანდარტები/ეთიკის ნორმები; რეგიონის სპეციფიკისა და კონტექსტის შესაბამისი ახალი, ინოვაციური ტურისტული პროდუქტის შექმნა; ტურისტული პროდუქტის დემონსტრაცია/პრეზენტაცია და ტურისტული ჯგუფის გაძღოლა.

სწავლა განხორციელდება მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მიერ, კოლეჯის თანამედროვე მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A B გარემო), ხოლო პრაქტიკული დავალების განსახორციელებლად გამოყენებული იქნება რეგიონის ტურისტული ობიექტები. პროგრამა განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით. პროგრამა კომპლექსურად მიაწვდის მსმენელს თეორიულ მასალასა და საინტერესო პრაქტიკულ მაგალითებს ტურისტული გიდის საქმიანობის სპეციფიკური ასპექტების შესახებ.

სწავლებისა და შეფასებისათვის გამოყენებული იქნება შესასწავლი თემატიკის შესაბამისი მეთოდები. მსმენელთა განმავითარებელი შეფასება ჩატარდება ყოველი კვირის ბოლოს, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება - პროგრამის ბოლო კვირას, წინასწარ შერჩეულ დესტინაციის ადგილზე, მომზადებული დავალების პრეზენტაციით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.



პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება მხოლოდ ერთჯერ პროგრამის დასრულებამდე, თუ ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას.
5. თუ მოდული მოდულზე დაშვების წინაპირობაა პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები.
6. აღნიშნული მუხლის მე- 5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სწავლის შედეგების არ/ვერ დადასტურება ითვლება სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთენტიკულობად და სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.
- 7.შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დაძლევის გარეშე.
- 8 სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ასევე, შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება.
9. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
- 10.სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც:
 - ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
 - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურებით;
- 11.სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაში, ანუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური პროგრამა) საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი მენტორი/ინსტრუქტორი;
- 12 .კოლექსა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს კომპანიაში/საწარმოში ინსტრუქტორის ზედამხედველობის ქვეშ, აწარმოებს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში, უდასტურებს სწავლის შედეგებს, რასაც სტუდენტი შერჩევით ადასტურებს საკვალიფიკაციო გამოცდის დროს;
- 13.მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აწვდის ინფორმაციას შედეგის დადასტურების/დაუდასტურებლობის შესახებ შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 დღისა(წინმსწრები მოდულის შემთხვევაში არაუგვიანეს მეორე დღისა);



14. „პროფესიულ სტუდენტს ჩატარებული შეფასების შედეგად მიღებული შედეგის გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში შეუძლია გაასაჩივროს მიღებული შედეგი, რის შესახებაც პროფესიულმა სტუდენტმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს კოლექტის დირექტორს წერილობითი განცხადებით(წინმსწრები მოღულის შემთხვევაში იმავე დღეს) .კოლექტის დირექტორი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით 2 დღის ვადაში იწვევს სააპელაციო კომისიას საკითხის განსახილველად. კომისია განიხილავს(საკმარისი/ავთენტური მტკიცებულების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება ამავე ვადაში) და მიღებულ გადაწყვეტილებას არა უგვიანეს 2 დღისა სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი აცნობს პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს. წინმსწრები მოღულის შემთხვევაში გასაჩივრების პროცედურის ვადები არ უნდა აღემატებოდეს 5 დღიან ვადას“

15. კოლექტი არ არის უფლებამოსილი არსებული შეფასების საფუძველზე შეუწყვიტოს პროფესიულ სტუდენტს სტატუსი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებამდე.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა შეფასების წესი

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელის შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული(კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული)სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - სწავლის შედეგი დადასტურდა
 - სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა
2. შეფასებაზე აუარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღების დამატებითი შეფასება ერთხელ პროგრამის დასრულებამდე.
3. პროგრამის დასრულებამდე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან შეთანხმებით ნიშნავს გამეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს.განმეორებით შეფასებაზე მსმენელის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.
4. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია როგორც ყოველის სწავლის შედეგის ბოლოს ასევე პროგრამის დასრულებისას.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებში.
6. იმ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებში,რომლის გათვალისწინებული სწავლის შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში(სასწავლო/საწარმოო კომპანიებში)საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი.